ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ათი წელი შეუსრულდა

ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-11 ოქმი, რომლის მიხედვითაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გარდაიქმნა მუდმივმოქმედ ორგანოდ და 800 მილიონზე მეტი ევროპელის უფლებებს იცავს. სასამართლოს თავმჯდომარემ, ბატონმა ჟან-პოლ კოსტამ აღნიშნა, რომ ეს იყო უდიდესი მოვლენა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დაცვის განვითარების კუთხით, როდესაც 1998 წელს ამოქმედდა "ახალი" სასამართლო.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ განვლილი 10 წლის მანძილზე სასამართლომ ბევრს მიაღწია, რაც გამოხატა დაახლოებით 9,000 განჩინების მიღებით. ადამიანის უფლებათა სამართლებრივმა ენამ ადგილი დაიმკვიდრა ჩვენს ყოველდღიურ მეტყველებაში და აქტიურად გამოიყენება იურისტების მიერ. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ სასამართლომ კვლავ უნდა შეძლოს იმ ფუნქციის შესრულება, რომელსაც დემოკრატიის გარანტი და კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოებში კანონის უზენაესობის გამტარებელი ჰქვია. ეს ნიშნავს იმას, რომ სასამართლომ უნდა შეძლოს და ეფექტურად გაუძღვეს 1998 წლის შემდეგ შემოსული უამრავი საქმის განხილვებს. ამისათვის საჭიროა სისტემის სამომავლო რეფორმირება. ვინაიდან ჩვენ შევაბიჯეთ 21-ე საუკუნეში და ასევე, ახლოვდება ადამიანის უფლებათა დეკლარაციის 60 წლისთავი, ევროპის საბჭოს უკლებლივ ყველა წევრი სახელმწიფოების მთავრობებმა ხელახლა უნდა განამტკიცონ თავიანთი ვალდებულებები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით. ამისათვის მათ უნდა დახვეწონ შიდა სამართლებრივი სისტემები, რაც მოქალაქეებს ადგილზევე მისცემს შესაძლებლობას სრულყოფილად დაიცვას თავიანთი უფლებები ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევაში.

ადამიანის უფლებათა ვეროპულმა სასამართლომ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ასევე განაახლა თავისი ვებ-პორტალიც. იგი ორენოვანია (ინგლისურ-ფრანგული) და მასში განთავსებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესახებ არსებული ყველა საჭირო ინფორმაცია.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ: www.echr.coe.int